№ 36 14 სექტემბერი 1873 14 სექდემბერი № 36

გაზეთის ფასი

	გაუგზავნით.	გაუგზავნ.
ერთის წლისა	— 6 მ. კაპ.	5 მან. კაპ.
ნახევარის წლისა	— 3 „ „	2 „ 50
სამის თვისა	— 1 „ 75	1 „ 50
ერთის თვისა	— „ „ 60	„ „ 50
ცალკე ნომრისა	— „ „ 12	„ „ 10

განცხადება, „დროებაში„

დასაბეჭდათ, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

დროება

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების„ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

ქუთაისში: ბერას მე ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვ. მესხთან.

გარეშენ მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА“.

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე

შინაარსი:

„დროებაზედ“ ხელის-მოწერა — საქართველო: ქუთაისის ბანკის საქმე: პ. ლორთქიფანიძის მოწმობა — „დროების“ კორრესპონდენცია: უვირილიდამ — უცხო ქვეყანები: საფრანგეთი — ესპანია — თანამედროვე შენიშვნები და სურათები — ერთი უგბილი ბ. ბორისელისა. ქერძოობითი განცხადება

ფელეტონი: ბაკვრა-გამოკვრა ნ. სკანდელისა.

ხელის-მოწერა

„დროებაზედ“

ამ წელს მიიღება მხოლოდ პირველის სექტემბერიდამ, რადგანაც წინანდელი ნომრები რედაქციაში სრულიად აღარ არის.

საქართველო

ქუთაისის ბანკის საქმე.

(უფ. კ. ლორთქიფანიძის მოწმობა.

დღეს „დროებამ“ რამდენიმე ალაგი, იქება სხვა უფრო სასიამოვნო და სასარგებლო ამბების მაგიერ, ჩემს ნაჯღაბნს უნდა დაუთმოს. მსურს ორიოდე სიტყვა მოვახსენო მკითხველს იმ საბაასის გამო, რომელიც უფ. ბ. ლოლობერიძისაგან წარდგენილის პროექტის მიღებამ აღძრა და რომელიც თვენახევარია რაც ქუთათურებს მოსვენებას არ აძლევს. ეჭვი არ არის, რომ ჩემი აქამდის სიჩუმე და ახლა ხმის ამოღება ბევრს ძალიან გაუკვიდება. მაგრამ იყოს იმისთანა მიზეზი, რომელიც აქამდის ბაასში მონაწილეობის ნებას არ მაძლევდა.

ერთი ეს, რომ ჩემი სიტყვა საჭირო უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმაზედ: შეეპირდა თუ არა უფ. ნიკოლაძეს უფ. ლოლობერიძე, რომ ასე და ასე ვიმოქმედებო ბანკის დაფუძნების საქმეში. მაგრამ ეს კითხვა თვითონ ნ. ნიკოლაძისა და ბ. ლოლობერიძის სტატიებშია, ეგონებ, გამოთქმული იმდენად, რომ ყოველ მკითხველს შეეძლო ნამდვილი აზრის შედგენა. მაშ ჩემი მოწმობა დიდი საჭირო არ უნდა ყოფილიყო.

მეორე ეს, რომ ხმის ამოღება მეტადრე იმიტომ არ შემეძლო, რომ აქამდის არავის არ გამოუთხოვიეარ სამოწმოდ და მე რომ თავისით რამე მეთქვა, ვაი თუ საზოგადოება არა მკითხე მოამბესავითა მომპყრობოდა.

მაგრამ ეხლა ქუთაისიდამ ჩემამდის ერთმა ახირებულმა ხმამ მოაწია, ვითომც ჩემი ჩვენება უფ. ბ. ლოლობერიძის გასამართლებლათ გამოსადეგი იყოს და ნ. ნიკოლაძის მეგობრობით ამ ჩვენებას ვეფარავდე. ეს ხმა კიდევ ვერ გამომიწვევდა საბაასო ასპარეზზე, თუ რომ უფ. ბ. ლოლობერიძეს რამდენჯერმე პირად არ ეთხოვნა, რომ ჩემი აზრი საბაასო საგანზედ საზოგადოებისათვის შემეტყობინებია.

აი ჩემი ჩვენება:

უფ. ლოლობერიძეს უფ. ნ. ნიკოლაძისთვის არავითარი თამასუქი არ მიუცია, რომ ბანკის საქმეს ამა და ამ გვარად წავიყვანო. მაგრამ იმან მოლაპარაკების დროს, რომელიც ერთის მხრით უფ. ბ. ლოლობერიძის და მეორეს მხრით ს. მესხის, ნ. ნიკოლაძის და ბ. წერეთლის შორის იყო და რომელზედაც მე დავესწარი, ისეთი პირობა დაიდვა, როგორიც ყოველთვის თანახმად მოქმედების მოსურნე კაცებშუა დაიდება ხოლმე.

აი ეს პირობაც:

ბანკის პროექტი თავდაპირველად პირდაპირ თავად აზნაურობის საზოგადო კრებას არ უნდა წარდგენოდა, ამ კრებაში არ უნდა წაკითხულიყო. უფ. ბ. ლოლობერიძეს უნდა ეთხოვნა საზოგადოებისთვის, რომ ბანკის წესდების შედგენა იმისთვის და მისგან დასახელებული პირებისათვის მიენდო. ამ პირებს საზოგადოებისთვის უნდა წარედგინათ ბანკის წესდების საფუძვლები, იმისთანა საფუძვლები, რომლის მიღება ყოველთვის საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, რაც უნდა ბანკის საქმის უცოდინარი იყოს ეს საზოგადოება. საფუძვლები იყო: თავნის რაოდენობა და „საზოგადო თავდებობის“ ან, თუ ამას მაინცა და მაინც შეუძლებელად დაინახვიდნენ, „დაგირავებული მამულების თავდებობა“. ამის გარდაწყვეტა საზოგადოებისთვის უნდა ეთხოვნათ, რადგანაც არც ერთს ბანკის წესდების შემდგენელს უფლება არა აქვს, რომ ამ გვარი ჯიბისა და ტყავის შესახები პირობა საზოგადოებას თავზედ მოახვიოს. და მთელი პროექტის შემუშავება კი, ე. ი. დამატება, შემოკლება, შეწორება, ცხადად ბნელი ადგილების მარდაქმნა, ყველაფერი ესენი თვითონ ამ კომისიის საქმე უნდა ყოფილიყო. თუ კომისიას უფ. ბეს. ლოლობერიძის

ფელეტონი

ბაკვრა-გამოკვრა

მკითხველმა როდი იცის, თურმე, რომ მას წინეთ იმერეთში „ყვენობა“ ყოფილა, თუმც შავი ორშაფათი იმ დღეს მარტო ჩვენი საზოგადოების ჯიბეებისთვის გათენებულია... შეყრილა ხალხი, გამოწკეპილი, გამოგიმული, ჩალაზათიანებული. კუდაბზიკუთათ მორთული, კუდაბზიკასავით წინ-წამომდგომი,—აქაო და „ყვენობა“ უნდა ვნახოთ, მაგრამ, ნუ იტყვით, წვიმის მეტი არა ენახავსთ რა. ზაფხულის წვიმა კარგი რამ არის,—ამბობენ, თმას ზდისო, მაგრამ ვინც ალმასების წვიმას ელოდა და ბრილიანტეისთვის გული გაშლილი ჰქონდა, ჩვენებური გამწუწველი წვიმის წვეთი, რაგინდ ბზიავდეს, იმას გულს ვერ გაულმხიარულებს. ამ შეგროვებულ ხალხისთვის—ქალებიც ხომ ხალხია“ — „ყვენობის გამმართველებს უთვამთ: „ყვენობა“, კარაული და ალმასები პრინცესებისთვისაა გაჩენილიო, თქვენთვის კი ღმერთს წვიმა გაუჩენიაო!“

+

მომწონს ეს თქმა. მაგრე მოუხდება ვინც თავის საქმეს სტოვებს და სხვისაში ეჩრება. ის პირს მაჭარი, ვინც ამისთანა მშვენიერი სიტყვა გამოთქვა!

მაგრამ ამავე ყვენობის დროს ერთი საკვირველი სასწაული მომხდარა. საქიროდამ ერთი ადამისწლის ხმა გაგონილა, რომელსაც დაუძახია „ჩვენ თავადიშვილები ვართ და აზნაურებზე წინ უნდა ვიდგეთო.“ მაგრამ, საუბედუროთ, ამავე დროს მაშინას სასტიკათ დაუსტვენია, სწორეო ისე, როგორც თფილისის თეატრში უხვირო აქტიორებს უსტვენენ ხოლმე, და ამ მაშინის სტვენაში, თურმე, ის აზრი გამოთქმულა, რომ „ვერ გაიგეთ, თქვე ყრუებო, ის დროდიდი ხანია გავ ქრაო.

÷

მოაწონს ეს დასტვენაც. არა, ეს მამაცხონებულები ამ ჩვენს წასრულ ცხოვრებას რომ ჩაჰფრენიან, მაინცა და მაინც უგნურ და უხვირო მხარეებს რათ ეპოტიალებიან და კარგ ჩინებულ მხარეს რათ ივიწყებენ? ვინც ძველებურ ცხოვრებას იხსენებს, ვინც მამაპაპურ ჩვეულებებს ხელს აელებს, იმან კარგათ უნდა იცოდეს, რას ნიშნავდა „თავადობა“ და რა მოვალეობა ჰქონდა იმას უწინ. როცა ჩვენში გმირობა არსებობდა, როცა ჩვენ ვაჟკაცები ვიყავით, მაშინ ვინც მამულს თავს სწირავდი, ვინც ხალხს გაჭირვების დღეს თავში უდგა, ვინც იმას ერთგულათ, გონიერათ, მამაცურათ და თავდაუზოგველათ თავსნობდა, იმას „თავადს“ უძახოდენ, „თავად“ „იხდიდენ. თქვენ კი? — ვინ გონიერება, ვინ მაცობა, ვინ თავგამომეტება და ვინ — თქვენ? ჯერ ის თვისებები გვიჩვენეთ, რომლისთვის ჩვენი ხალხი თქვენს წინაპარებს პატივსცემდა და არჩენდა, და მერმე პატივისცემა და რჩენა მოგვთხოვეთ, ნახავთ, მაშინ, დაგიკავებთ ამაებს თუ არა. და ძველი ცხოვრებიდამ მარტო სიგლახაკეს რომ მოავლებთ ხელს და კარგის დავიწყებით და შეურაცყოფით სულელური ჩვეულებების ასრულებას რომ მოგვთხოვეთ, ძალიან-ძალიანი „ვერ-მოგვართვეთ“ მოგვდებათ ცხვირში, როგორც ყვენობის დროს დაგემართათ...

+

ჰკუა ისწავლეთ, ჩემო ბატონებო და ქალბატონებო, თქვენს წინაპარებს ჰკუა ჰქონდათ, და თქვენ კი — ნურას უკაცრავათ — ამაში — გვარიანათ კოჭლობთ. დროა, მე და ჩემმა ღმერთმა, ის ჩვეულებები დაივიწყოთ, რომელიც ქრილოვმა „ბატების“ ზღაპრით დადაღა. მართალია, იმ ბატების წინაპარებმა ერთხელ რომი მტერს გადაარჩინეს, მაგრამ ეს ბატები, ეხლანდელი ბატები, მაინც მარტო შემწვრათ თუ გამოადგება კაცს, სხვებრ არაფრათ.

ამას, თუ ღმერთი გწამთ, ნუ დაივიწყებთ...

+

„ეხლა გამახსენდა: სპარსეთის შაჰს სპარსეთში დაბრუნებისთანავე თავისი ვეზირი დაუტუსაღებია და ვეზირობა მოუსპია. — გაზეთებში სწერდენ, შაჰი ჰკუის სასწავლებლათ მგზავრობსო, და გაქვთ სიცოცხლე იმას მალე უსწავლია ჰკუაო. — დიდი ხანია ნათქვამია, რომ შაგირდი მასწავლებელზე ფვრო მეტს ჰკუის იძენსო; დღეს შაჰის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ მის მასწავლებლებს ეხლა მისგან მოუხდებათ ჰკუის სწავლა და მაგალითის მიღება...

+

დიდი ამბავი ყოფილა თურმე სტამბოლში შაჰის გამოვლის დროს. ხვანთქარს ნდომებია მისი მიღება თავაზიანათ, მაგრამ ცივათ, და პირველ დღეებში მართლა ერთობ გრილათ მოჰპყრობია თურმე. მაგრამ, როგორც სწერენ, ერთ დღეს შაჰს პიროვნათ მოულაპარაკებია ხვანთქართან, უთქვამს. რას ვენდურით ერთმანერთს, ვერ ვხედავთ, რა საშინლათ გვაწუხებენ „ურჯულოებიო“, როგორ შემოგვერტყენ ყველა მხრიდამ და როგორ შუაში ჩაგვიგდეს ჩვენ, შაჰმადის თაყვანისმცემლებიო. ჩვენც ეხლა ერთობა და შეთანხმება გვჭირიაო, თუ თანხმათ და გონიერათ არ ვიმოქმედეთ დავიკარგებით გავქრებით დედამიწის პირიდამ და სხვ. და სხვ. ხვანთქარს ეს სიტყვები ძლიერ მოსწონებია, და მაშინვე თავის ვეზირისთვის უბრძანებია, სპარსეთის ვეზირს მოელაპარაკე და კარგი გაწყობილება დაიკავე სპარსეთთანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი მოეწონებოდა, შეუცველელად წარუდგენდა თავად აზნაურობას, თუ არა და გარდაკეთებდა, და თუ გარდაკეთება არ მოუხერხდებოდა, ახალს შეადგენდა.

კომმისიაში გამოსარჩევი პირები, მოლაპარაკებისამებრ, როგორც ზევით ესთქვი, თვითონ ბ. ლოლობერიძეს უნდა დაესახელებია, რადგანაც საქმის წარმატებისათვის საჭირო იყო, რომ ამ კამმისიაში მოსათავსებელი პირები შეყრილიყვნენ. თუ საზოგადოება ამ პირებს სანდო კაცებად არ დაინახვიდა, სხვებს გამოარჩევდა და მაშინ უფ. ბ. ლოლობერიძეს და იმისგან დასახელებულ პირებს წესდების შედგენა იმათთვის უნდა დაეთმოთ.

უფ. ნ. ლოლობერიძე კამმისიაში არ იქნებაო, ამის პირობა ბ. ლოლობერიძემ მისცა თუ არა ს. მეხს, ნ. ნიკოლაძეს და ბ. წერეთელს, არ გამიგონია. ეს კი ეიცი რომ ამ ოთხმა კაცმა პირობა დასდვეს, რომ ცუდი განზრახვის მექონე წრისაგანი და ქუთათური პარტიების მოთავე და მომხრეთაგანი იმ კამმისიაში არ უნდა გაერიონენო *).

7 სეპტემბერს.

კ. ლორთქიფანიძე.

*) ქუთაისელებმა კარგათ იციან, რომ უფ. ნ. ლოლობერიძე ერთი ქუთათური პარტიის მოთავე თუ არა, მომხრე მაინც იყო და არის. (ნ. სკანდელი)

„დროების“ კორრესპონდენცია

დ. ულირილა, 2 სეპ. 1873 წ.

ბამოჩენილი ექიმების გამოკელვეით გამოჩნდა, რომ გიჟების რიცხვი მრავალია ქვეყანაზე. დროებითი სიგიჟე (временное сумашествіе) მაინც ხშირია ხალხში. დიდი უბედური გავლენა აქვს არა თუ თავის ოჯახზე, არამედ მთელს საზოგადოებაზე ამისთანა კაცებს, როდესაც ამისთანა კაცზე არის მთელი საზოგადოების ბედი და უბედურება დამოკიდებული. ყოველი კაცი უნდა ხმაროობდეს რაიმე საშუალებას ამის შესამოკლებლად! ამას წინეთ „დროებაშიაც“ კი წავიკითხე, რომ ეხლა კიდევ სხვანაირი ჭკუა შეშლილები გამრავლებულან. ამისთვის ვალად ერაცხ მივაწოდო ამისთანა გიჟებს და ჭკუა შეშლილებს ერთი მკურნალი, რომელიც ამ ჩვენს შორაპნის უეზდში სცხოვრებს სოფელს ბ—შვი! ეს ექიმი საუცხოო ექიმია ჭკუაშეშლილებისა! ეს ექიმი ისე სახელ გათქმულია, რომ ყველამ იციან არათუ ამ უეზდში, არამედ მთელ გუბერნიაშიაც! რაც უნდა გაგიჟებული იყოს კაცი ერთ კვირაზე განკურნებს! აი ჩემი მუსაიფი მასთან.

— ბევრია ეხლა თქვენთან გიჟები მოსარჩენათ? ვკითხე მე მას.

— ეხლა ათი ჭკუა შეშლილი მყავს და სამ კვირაში ყველას განვკურნებ, მომიგო მე მან.

— რა მიზეზით არიან ისინი გაგიჟებულნი?

— მაგას რა კითხვა უნდა ბატონო? ეშმაკებით და ბოროტის სულებით. ბანა კაცი გაგიჟდება სხვა მიზეზით?

— რატომ არა? ბანა სხვა მიზეზებით არ შეიშლება კაცი ჭკუაზე? ვკითხე მე მას.

— ჩემის აზრით თუ ეშმაკი არ დაეპატრონა კაცს, სხვა მიზეზით არ გაგიჟდება. მომიგო მან.

— შენ რას უშვრები მერე ეშმაკს?

— მე, ბატონო, შელოცვილ სულს ჩაუბერავ და გაქ ლუთის წყალობა ის უცფათ მე კაცის ტანიდამ გამოვაგდო! ყველა ჭკუაშეშლილებს ეშმაკის თმით აქვს გული შეკრული. მე იმ თმას სულ პატარ-პატარად დაჭრილს წამოვაღებინებ პირიდამ.

— მე ეგ არა მჯერა. თმას როგორ წამოაღებს კაცი პირიდამ?

— ჰმ, თქვენთვინ ეგ ძლიერ გასაკვირველია, მაგრამ ჩემთვის ძლიერ საადვილია!

ბავიგე, როგორც იქნა, ამ კაცის ოსტატური მოქმედება. ამ კაცს აქვს თურმე წმინდათ დაჭრილი კაცის თმა. ეს თმა აქვს, თურმე, შენახული მასრაში. მასრას ჩაუყოფს კაცს პირში, ტუჩებს დაუმუწავს და ცხვირზედაც ხელს მოუჭერს. ბოლოს რაც ძალი და ღონე აქვს გაბერავს ჭკუა შეშლილს

÷

ამბობენ, ამ მოკლე ხანში დიდი ამბები უნდა მოხდეს პარიჟშიო: რესპუბლიკა მოიშლება და მონარხიას დაარსებენ, შამბორის გრაფს სასარგებლოთო. მართლა მოხდება ეს ამბავი თუ არა, ეს მარტო მაღალმა ღმერთმა იცის: მაგრამ ცხადი კია რომ ამის მზადებაში ბევრი არიან დღეს საფრანგეთში. მართალია, რესპუბლიკელებს დიდი იმედი აქვთ, მონარხიელები ვერ გაბედვენო, ხალხი ხელს გამოიღებსო, ჯარი განზე გადგებაო, მაგრამ უეჭველია, რომ ეს სამი იმედი უსაფუძვლო და უშნიშვნელო იმედათ დარჩება. და თუ მონარხიელები უფრო იმ გარემოებამ არ დახია უკან, რომ ბონაპარტისტები გადგებიან და მაშინ მონარხიის მომხრეებს უმრავლესობა აღარ ექნებათ (თუ ლაბულესთანა „ზომიერები“ არ მოქრთამეს), მაშინ შენი მტერია რესპუბლიკის საქმე (ეუდათ იქნეს..:

÷

მაგრამ... იცით, მე რა მაიმედებს?—მე არც ტიერის, არც ბამბეტა'ს, არც მთელი რესპუბლიკელი პარტიის იმედი არა მაქვს იმოდნათ, როგორც „ისტორიული მომდინარეობის“. როგორც 1848-ში ბონაპარტეს ამაღლებამ და გამეფებამ რესპუბლიკის საქმე და მომავალი ვერ დაღუპა და რესპუბლიკის სახელი ვერ დაამცირა, ისე შამბორის გამეფებაც ვერაფერს დაკლებს ამ მომავლიან საქმეს... ოთხი ხუთი წელიწადი გაივლის, ბევრი, ბევრი, ათი თხუთმეტი, და რესპუბლიკა, ვითომ დაცემული და დამარცხებული ხელახლავ, წამოდგება ათასჯერ უფრო ძლიერი და გამარჯვებული, ვინემ ეხლა არის. მომავდავი ცალ ფეხით საფლავში ჩამდგარი კაცი ახალგაზდა მამაკაცს რაგინდ ჩააფრინდეს, ბევრს ვერას დაკლებს. ქბილითაც რომ ჩააფრინდეს, თავზედაც რომ დააწვეს, იმას მაინც სიკვდილი უზის გვამში, ის მაინც მოკვდება და გაქრება. და მის ქვეშ მოქცეულ ახალგაზდას მოცდა მეტი არა სჭირია რა, რომ ხელახლავ ფეხზე დადგეს და ძალა დაიბრუნოს. ეს მონარხიელის სუდარა რაგინდ მტკიცედ წაეფარონ დღეს რესპუბლიკას, რესპუბლიკა მაინც არ მოკვდება, ის მაინც—აშკარად იმქნება თუ ჩუმათ—ახალგაზდობის ძალას შეიძენს და მძლავრათ წამოდგება, სწორეთ იმ დროს, როცა ეხლანდელ დაბერებულ თაობას მუხლებში კანკალი და ძარღვებში სიკვდილის სიცივე გაუჯდება...

÷

რაც უნდა იქნეს, რაც ხალხისთვის სასარგებლო და სანუგეშოა, ის იქნება, ის არასოდეს არ გაჰქრება; იმას ვერაფერი დაამხობს ვერაფერ მოსპობს. და რაც უფრო სასტიკი და გამწარებული წინააღმდეგობა დახვდება იმას ბოლონდელ გამარჯვებამდი, მით უფრო სრული, მით უფრო მტკიცე და საბოლოო იქნება ეს უკანასკნელი გამარჯვება. მაშ შეფერხდეს ბრძოლა, შეჩერდეს ეხლანდელი გამარჯვება, მიეცეს წუთიერი ნუგეში და უპირატესობა ძველი წესის მომხრეებს; ბოლონდელი, უკანასკნელი, სამუდამო გამარჯვება მაინც მომავლის იმედს—რესპუბლიკას—დარჩება. და ეს ეხლანდელი მონარხიელების ვითომ გამარჯვება სწორეთ იმ ჭრაქის უკანასკნელს უეცარს და მძლავრს აპრიალებას ჩამოგავს, რომელიც, გამოელევა თუ არა სანათი, ძალას შეიკრეფს, ერთს სისხლის ფერათ ინათებს და მაშინვე ჩაჰქრება.

÷

ვნახოთ; იქნება მოვესწროთ იმ ბედნიერ დროს, როცა ეს მონარხიელების ეხლანდელი ვითომ გამარჯვება საფრანგეთში იმათ ცხვირიდამ ძმარს გამოადენს და წუთიერი გამარჯვების მაგიერ სამუდამოთ დაამარცხებს. მაგრამ ჩვენ თუ არა, ჩვენგანი ხომ ბევრი ამას უსათუოთ დაესწრება.

ნ. სკანდელი.

+

მომწონს ეს საქციელიც სპარსეთის შაჰისა. ჭკუა უსწავლია, ეტყობა. მაგრამ ნეტავი ეხლა ამ ნასწავლ ჭკუას სხვებსაც არგებდეს და გაუზიარებდეს. ნუ თუ არ იცი, რამდენს სჭირია...

+

დიდი ამბავი ყოფილა, აგრეთვე პეკინში, ჩინეთის იმპერატორს, მზის შვილს და მთვარის ძმას ამდენს ხანს არც ერთი ადამიანი მუხლ მოუდრეკელათ არ მიუშვია მის პირის წინ. ამავე მუხლის მოდრეკას და მიწის კოცნას თხოულობდა ის ევროპიელი სახელმწიფოების ელჩებისგან, მაგრამ ისინი, რასაკვირველია ამაზე არ ეთანხმებოდენ, და ამისგამო ჯერ ჩინეთის იმპერატორს არცერთი ელჩი არ მიულია. მაგრამ ამ ბოლოს დროს—ორიოდე დამარცხების შემდეგ—იმის სიამაყემ იკლო, და ეხლა! დაუჩოქებლათ მიულია ევროპიელი ელჩები. ეს კარგი. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ჩინეთის „ოფიციალური გაზეთი“ როდი აცხადებს თურმე ამ გარემოებას და შემთხვევას. ის ოფიციალური ენით მარტო იმას სწერს, თურმე, რომ იმპერატორმა ელჩების მიღება ისურვა და სხვ.

მომწონს ეს ოფიციალური ენა. ჩვენში ამას გადაფუჩეჩებას უძახიან, მაგრამ ოფიციალურ წრეში კი ამას „თავის შეკავება“ ქვიან, ამბობენ.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

— მმართებლობა ძალიან გაჭირვებაშია. იმას ერთის მხრით კლერიკალური პარტია გადაემტერა, რომელიც მმართებლობას ემდურის, ძველი წესის დაფუძნებაზედ არ გვშველისო. მეორეს მხრით ორლეანისტები აწუხებენ, რომელნიც ამბობენ, რომ ჩვენ მარტო კონსტიტუციური მონარხიის დაფუძნება გვინდაო. მესამეს მხრით ბონაპარტისტები ემუქრებიან და მარტო საკუთარ სარგებლობაზედ ჰფიქრობენ და რაც იმათ ინტერესს არ ეთანხმება, ყველაფერს ეწინააღმდეგებიან. ამიტომაც ბევრი ჰფიქრობს, რომ ეხლანდელი მმართებლობის წევრები ზოგი მალე გამოიცვლება, რომ ამით მმართებლობას უფრო ერთობა და ძალა მიეცესო. მმართებლობამ სცნო ერთის მხრით, რომ უპირობოთ შამბორის მონარხიის დაფუძნება შეუძლებელიაო; მეორე მხრით ის ხედავს, რომ კიდევრი მარჯვენა მხარის შეწევნა იმასა თუ აენებს, თორემ შეწევნით არაფერს ეწევა; ამიტომ ბროლის სურს ორი ამ პარტისაგან აღრჩეული; მინისტრები თავიდამ მოიცილოს და მათ მაგიერ მარცხენა გულის წევრები ამოირჩიოს მინისტრებად.

— ლეგიტიმისტები ეხლა ფრთა მოტეხილი უნდა იყვნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იმედობენო. იმათი და ორლეანელი პარტიის შეერთების მსურველნი წინააღმდეგი არ იქნებიანო, ბონაპარტიელი პარტიის წარდგენილი თხოვნის, ახლანდელი პალატისა და მარშალი მაკ-მაჰონის უფლების გაგრძობაზედ. ამ თხოვნაზედ დათანხმება იმ პირობით უნდათ ლეგიტიმისტებს, რომ პრეზიდენტის მოქმედების პროგრამიდამ და იმის ტიტულიდამ ყველაფერი გამორიცხონ, რაც კარგ პუბლიკის გამხსენებელია, ასე რომ ყველამ ცხადად დაინახოს, რომ ეხლანდელი წესიერება დროებითია და პარლამენტური ანუ მემკვიდრეობითი მონარხიის წინამორბედი.

— ბონაპარტიელები ამბობენ ეხლა, რომ ჩვენ ერთგულად და უსასყიდლოდ ვეხმარებოდით როიალისტებს რესპუბლიკასთან ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ სრულიად არ გვინდა, რომ როიალისტებს თავი გავაბრიყვებინოთო. როიალისტებმა ბორდოს პირობა შეშალესო პირობა, რომელიც კონსერვატიულ პარტიებს რესპუბლიკის წინააღმდეგ აერთებდაო; ეხლა ისინი ჰფიქრობენ, გვარიანად დამაკმაყოფილებელი დროებითი მდგომარეობა შესცვალონ და იმედი აქვთ, რომ ჩვენ ამაში იმათ შემწედ გაეუხდებით! ნუ თუ ისინი ჰფიქრობენ, 23 მაისს ჩვენ იმიტომ შევეწიეთ იმათ, რომ თავისი მონარხია აღადგინონ.

— ერთ ბელგიურ გაზეთში იწერებიან, რომ საფრანგეთის მმართებლობა სცდილობსო, რომ მონარხიული პარტიების შერიგების მომხრეებს ჩამოეცალოსო. ამის დასამტკიცებელად მოჰყავთ ლონდონში და ვენაში დაყენებულის ახალი ელჩების სახელები, და

ამ ბოლოს ეს ამბავი ეხლა ფრანგეთის ბ. ... ...

ამბობენ, რომ ესენი არაოდეს არ იქნებიან თანახმა, რომ რეაქციულ მონარხიას მხარი მიცენო. და ამას გარდა თვითონ ბერლინი ბროლის გაზეთში შემდეგი შენიშვნაა თურმე: „ჩვენ ერთნაირად უარ-ვჰყოფთ რადიკალურ რესპუბლიკას, თეთრდროშიან მონარხიას და იმპერიას 1852 წლის დაწესებულებებით.“

—პრეფექტების გარდამეტებულ ერთგულებამ გაზეთებისდევნაში მმართებლობის ყურადღება გამოიწვია. მმართებლობა დარწმუნებულა, რომ წერილ-ბეჭდვის დევნას სულ სხვა შედეგების მიზეზი არისო, ვინემ ჩვენ ვფიქრობთო. ამიტომ შინაგანი საქმეების მინისტრი ცირკულიარით მოითხოვეს პრეფექტებისაგან, რომ უმაღლესი მმართებლობის დაუკითხავად გაზეთებისა და ჟურნალების წინააღმდეგ არავითარ გარდაწყვეტილებას არ დაადგეთო.

— ნაციონალურ კრებაში ახლა 12 დეპუტატის ვაკანცია არის, რესპუბლიკელებს იმედი აქვთ, რომ 11 დეპარტამენტში იმათმა კანდიდატებმა გაიმარჯვოს. რაც უნდა ცუდად წავიდეს აღრჩევის საქმე, ცხრა დეპუტატი უთუოდ რესპუბლიკელების იქნებაო. მმართებლობა ამას თვითონაც კარგად ხედავს და ამიტომ ზოგი ჰფიქრობს, რომ ის დამატებით აღრჩევებს სხვა და სხვა დროს დანიშნავსო, რომ ამით აღრჩევების პალატაზედ და ხალხზედ შთაბეჭდილება შეამციროსო.

ესპანია.

— 26 აგვისტოს ქასტელარი აღმასრულებელი უფლების თავს-მჯდომარედ გამოირჩიეს, და მისი წინა მოადგილე სალმერონი კორტესების პრეზიდენტად დაუყენებიათ.

— 27 აგვისტოს კორტესების კრებაში ახლად არჩეულმა აღმასრულებელი უფლების თავმა ქასტელარმა გამოაცხადა, რომ თუმცა მე ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელი ვარო, მაგრამ პირველი ჩემი სურვილი სახელმწიფოს ერთობის დაფარვა არისო. იმან სთხოვა ლიბერალებს, რომ კარლისტებთან ბრძოლაში შემეწეთო. ქასტელარმა მოითხოვა, რომ კანონი სწორედ უნდა სრულდებოდეს იმაზედ, ვისაც სისხლის სამართლის წინ რამე დაუშავებიაო და სთქვა, რომ ევროპა მხოლოდ მაშინ იცნობს ესპანიის რესპუბლიკას, როცა ესპანიაში კანონის მორჩილება დამყარდებაო.

— ქასტელარს უნდა რომ 150 ათასი რეზერვის ჯარი გამოაწვიოს და 50 ათასი მილიცია შეკრიბოს საჭაროდ შინაგანი აღრეულობის მოსასპობლად.

— დონ-ქაროლოსის ჯარი ახლა თურმე 35 ათასამდის ადის. თუმცა ჯერ ესენი კარგად დაიარაღებული არ არიან, მაგრამ ყოველდღე ემატებათ მათ როგორც იარაღი ისე მოამრები. ამბობენ, რომ ფულით დონ-ქაროლსს ბევრი ბურბონების სახლის პრინცები ეწევიანო, რადგანაც დონ-ქარლოსის გამეფება იმათთვისაც სასარგებლო იქნებაო.

— დონ-კარლოსის ჯარების წინამძღოლს ბრძანება გამოუცია, ვინც კეირაობით წირვას არ მოისმენს უნდა გაიროზგოსო.

თანამედროე შენიშვნები

და სურათები

I.

ქლერიკალების მხიარულებას ჯერ ვერა ჩრდილებს რა. დღეს, ისინი სრული გამგე და ბატონები არიან საფრანგეთში. არ მოსწონთ რომელიმე პერიოდული გამოცემა, მაშინვე მოურდლად კრძალავენ მას. სახელგანთქმულმა დიუკრომ ბევრი წამბაძველი იშოვნა და მუნჯმა მინისტერმა ბელემ საკმაო მაქებელი. ამ უკანასკნელ საუკუნეში ჯერ ამნაირი, ნადირობა ჟურნალისტიკაზედ არა ვის უნახავს. ყოველ ძალადობაზედ, ყოველ პარტიულ განკარგულებაზედ ერთი და იგივე პასუხი გესმისთ „სამხედრო მდგომარეობა“!

მინ გამოიგონა ნეტავი ეს „სამხედრო-მდგომარეობა“? ძალიან რომ ძვირფასი ნივთი კი არის, მე თქვენ მოგახსენებთ. აპრინციპის ძალით რაც გნებავსთ იმას მოიქმედებთ და ვერავინ გაგიხდებათ წინააღმდეგი. სამართალი, კანონი, ჩვეულება, ყველაფერი სდუმდება, იკენეტს ხმას ხმლის წინაშე. მე დარწმუნებით ვიტყოდი, რომ ეს ბედნიერი გამოგონება ე. ი. „სამხედრო მდგომარეობა“—ერთი ჩემი ნაცნობი მებატონისაგან წარმოსდგა პირველად მეთქი—რომ არ მკოდნოდა ნაპოლეონ პირველს და კიდევ წინეთ უხმარიათ იგი ხშირათ. დიაღ, იმას ვამბობდი: იმ ჩემს ძვირფასს თავადს ნიადაგ აუხსნელი „სამხედრო მდგომარეობა“ ჰქონდა ოჯახში. მართალია, მისი დიქტატორული უფლება არ იყო ნაკურთხი ნაციონალური კრების კენჭითა, მაგრამ ეს გარემოება სრულიად ვერ უშლიდა მას უსასტიკეს ზნეობას და ნიეთიერ დესპოტობას თავის მაზრაში... მაგრამ დავანებოთ თავი შინაურ საქმეს.

თქვენ იცით, როგორს დევნას მიეცა აქ სამოქალაქო დასაფლავება. რასთვის?—„იმიტომ რომ“—როგორც მოგვითხრობს მართებლობის განკარგულება—„სამოქალაქო დასაფლავების დანახვა უკარგავს ხალხს სარწმუნოებას, რყვნის მის ზნეობით კანონებს და მოახდენს უწესოებას საზოგადოებაშიო“. საკვირველია ისეთ ქვეყანაში, სადაც ნაცნობია დიდი ხანია სარწმუნოების თავისუფლება და თანასწორობა, ამნაირ განმარტება ახირებულია, მარამ ამის ახსნა, ისევ იმ „სამხედრო მდგომარეობის“ სიტყვაში გახლავს.

ბადავეელოთ აბა ერთი თვალი იმ საკათოლიკე ქვეყნებს, სადაც არ არის სამოქალაქო დასაფლავება. აი რას შევხვდავთ ჩვენ. ავიღოთ მაგ. ესპანია. ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ იმდენს სასულიერო პროცესსიებს, იმდენს ღვთის მლოცველებს როგორც ესპანიაში. ყოველ ნაბიჯზედ ეკკლესია და უდაბნოებია. ყოველ მოსახლეზედ ჯვარი და ხატი. არც ერთი ქალი არ დაკლდება წირვა-ლოცვას, აღსარებას და ზიარებას. ყველა კაცს ნაწილები ჰკიდია გულზედ. ავაზაკები, როცა გადიან ხალხის გასაცარცველად სახლიდგან, წინათვე მხურვალე ვედრებით მიმართვენ თავის წმინდანებს, რომ მათი მსხვერპლის ჯიბეები სქლად იქნეს გატენილი. დიდი და პატარა გატაცებული მორწმუნეა.

მაგრამ ესპანიაში არ არის არც ვაჭრობა არც ინდუსტრია, არც სახლოსნობა. მათ ხოვრობა ჩვეულებათ გადაქცეულა იქ. არ არის ისეთი შარა-გზა, რომელზედაც სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს კაცს. რკინის გზის კომპანიებს ავაზაკები კონტრიბუციას ახდევინებენ და მოგზაურებს ჯიბეებს უცარიელებენ ეს საპატიოები. შინაური ომი გუწყვეტელია იქ. სამღვდელოები სალდათებს ახვრეტინებენ. არც ერთი მართებლობა ფესვს ვერ იდგამს იქ. ესპანიაში არ არის სამოქალაქო დასაფლავება.

ეხლა კანადა. კანადა ამერიკის შეერთებული შტატების მეზობელია. იგივე ენა, იგივე ნიადაგი თითქმის, იგივე ჰაერი, იგივე ნაყოფიერება. შეერთებულ შტატებში გაა საოცარი სიმდიდრე და კეთილ დღეობაა. კანადაში კი სრული დაცემა ვაჭრობისა, წარმოებისა. ლიტერატურის სახელიც არ იხსენება იქ. მკვდარი ქვეყანაა. კანადში, მართლა ძალიან ძვირად შეგხვდებათ სამოქალაქო დასაფლავება. ზნეობითი წესიერებამეფობს იქ.

მექსიკა: იგიც ისეთი მეზობელია შეერთებული ამერიკის რესპუბლიკისა, როგორც კანადაა. მექსიკა ერთ უნაყოფიერეს ქვეყანათა განია ცას ქვეშეთში. მექსიკაში არის სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, მაგრამ გარდა ბერებისა თქვენ ვერაფერს დაინახავთ იქ. ყოველ ფერი ბერებია: თეთრი, შავი, ყვითელი, ლურჯი, ალისფერი; ამდენ ნაირი ფერის ბერებსა ხედავთ, როგორც თუთუყუშის აპრიალებელი ფრთები.

მცხოვრებლები ძალიან მორწმუნეებია და მლოცველები „წმინდათა ადგილთა“—აუარებელი. მექსიკაშიც ისე სწამთ მოჩვენება და სასწაული როგორც ესპანიაში. მაგიერად, მექსიკა ესპანისავით ღარიბია. ისინიც ის სამოქალაქო ომში ატარებენ თავის დღეს როგორც ესპანიელები. არაა ინდუსტრია, არაა ხელოვნება, არაა ვაჭრობა. ბარეშე ქვეყნის კაცების ხელშია ყველა სასარგებლო საქმეები. არაა ლიტერატურა, პოეტი, სწავლული მწერალი არა ჰყავთ მათ. აქ უმეცრება არის მიღწეული ულრმესს და საშინელ ხარისხამდე. ოჯახობა უბედურ მდგომარეობაშია. უნაყოფიერესი მინდერები შეუმუშავებელი რჩება. ხალხი შიმშილით კვდება იქ და საღვდელოება კი მსუქნდება. არც მექსიკაშია სამოქალაქო დასაფლავება.

დაგვრჩა სამხრეთის ამერიკა. არც ერთ ქვეყანაში ამისთანა არეულობას და უწესოებას ვერ შეხვდება კაცი, როგორც აქ. სამხრეთის ამერიკაში ნიადაგ საშინელი ანარქია. რევოლუციები ისე ხშირია იქ, როგორც აგვისტოში მწყერი. იმისთანა მართებლობა, რომელსაც ოცდა ოთხი საათის სიცოცხლის იმედი აქვს, პატივსაცემელ და მტკიცე მართებლობათ ითვლება. სახელმწიფო უფლება ყოველ დღე ერთი ხელიდგან გადადის მეორე ხელში. იქ პრეზიდენტს შეუძლია სთქვას: „მე დავჭკნდები ეითარცა ვარდი მაისისაო!“ ვაჭრობა, წარმოება, ლიტერატურა იქ სტუმრათაც არ მიდის. ყველა ამ უბედურებისგან ვერ ხსნილობს სამხრეთის ამერიკას ის გარემოება, რომ იქ „სამოქალაქო დასაფლავება“ არ არა სებობს. უკანასკნელ „დიდებული და დიდი ავსტრია“—როგორც უწოდებდენ წინეთ.

თუ საფრანგეთის მეფე უფროსი ძე იყო ეკკლესიისა და მეფე ესპანიისა უფროსი ავსტრიის იმპერატორი შეიძლება ვსთქვათ, არ ირიცხებოდა ნაკლებ ერთგულ და მოყვარულ მსახურათ ეკკლესიისა.

მაგრამ „დიდებული და მორწმუნე ავსტრია“ კარგათ გაბერტყა ჩვენ თვალ წინ პრუსიამ და ბერმანიის გალავანს გარეთ გადა-გდო. მორწმუნე ავსტრიასა საჭიროების დროს არ დაურჩა: არც ფული, არც ჯარი, არც ნიჭიერი სარდლები.

სამოქალაქო დასაფლავების წინააღმდეგობამ ავსტრია ვერ დაიფარა სადოეიდგან! თქვენ ხედავთ ამ მოყვანილ მაგალითებიდგან—ცრუ მორწმუნოება, ანარქია და ჭკუის შეეიწროება როგორს მდგომარეობაში აგდებს ხალხს.

II.

იტალიის საზოგადოება საკვირველად აღძრულია იმ ხმის გამო, რომ შამბორი შესაძლებელია საფრანგეთის მეფეთ შეიქნესო. ვიქტორ ემმანუელის მოგზაურობას ვენაში და ბერლინში საზოგადოება აძლევს იმ მნიშვნელობას, რომ ეს გამოცდილი და ოსტატი მეფე საწინოთ კავშირს იმზადებს ბერმანიასთან, თუ რომ ბურბონის სახლობა გამეფდა საფრანგეთშიო. გაზეთი „Italia“ ამბობს ამ საგანზედ: „ჩვენ იმ ხალხთაგანი არა ვართ, რომელიც დაიეიწყებდა სოლფერინოს და მაჯენტას ველზედ შეკრულ კავშირს. თუ ოდესმე იტალიას საფრანგეთთან ომი მოუვიდა, რასაკვირველია, არა ჩვენგან წარმოსდგება ეს სამწუხარო ინიციატივაო.“ ეს ლაპარაკი ოფიციალური იტალიელი ჟურნალისა, ნათლად გვიხსნის იტალიის გრძნობას შესახებ ლეგიტიმისტებისა. რასთვის იშიშვის იტალია, კიდევაც რომ გამეფდეს გრაფი შამბორი? ამის ასახანელათ ჩვენ ორიოდე სიტყვა ვიტყვით იტალიის უკანასკნელ მოძრაობაზედ. იტალია რამდენსამე საუკუნეს სხვა ქვეყნების ფეხთ ეგდო. ავსტრია, უმთავრესად, საფრანგეთი და ესპანია ნიშნავდა იტალიაში ხელმწიფეებს.

ეს მმართველები, როგორც მოსალოდელი იყო, ყოველთვის მტრულ მდგომარეობაში იყვნენ თავის ქვეშევრდომებთან. იტალიის ენა, ჩვეულება, ხასიათი ეძაგებოდა მათ. იტალიის ხალხი წარმოადგენდა მათთვის ცეხრის ფარას, რომლისგან საჭირო იყო უზომოთ სარგებლობა. იტალიის მეფეები აღრიბებდნენ, ფრცქვნიდნენ ხალხს, ოღონდ რომ თავის სასახლის კაცებისთვის, თავის მაჭანკლებისთვის და ხასებისათვის კი ესიამოვნებინათ, დაესაჩუქრებინათ ისინი. ცხადია რომ ამნაირ წესში ნამდვილი თავის სამშობლოს მოყვარული კაცი იდევნებოდა და დაწინაურებული ხდებოდნენ ისეთი პირები, რომელნიც მეტს სიასტიკეს, უსამართლობას და უსინიდისობას გამოიჩენდა ხალხის მართვის დროსა.

იტალიის პატრიოტები ყოველს საშვალებით ეწინააღმდეგებოდნენ ესრეთ დაჩაგვრას და გარყვნას ლიტერატურაში, ხალხში ქადაგებით, საიდუმლო საზოგადოების შედგენით სამშობლოს განთავისუფლებისთვის და ხშირათ იარაღითაც ხელში. მაგრამ პატრიოტებს ძვირად უჯდებოდა სამშობლოს ერთგულება! ისინი ასობით და ათასობით იხოცებოდნენ საპყრობილეებში მთავრობისგან ჩაწყვდეული, ინკვიზიციის სამართალს ქვეშ და ეშაფოტებზედ. უნდა ითქვაეს მათ საქებათ, რომ იტალიელები ყოველთვის მხნეთ და აღტაცებულის გრძნობით შეხვდებოდნენ თავის ქვეყნის თავისუფლებისთვის სიკვდილსა. ამ კეთილშობილი და თავგანწირული მამულის შვილების სისხლი არ იკარგებოდა უბრალოთ. ახალი შთამამაველობა იგებდა მათ სახელს, იყვარებდა მათ ხსოვნას და აძლევდა აღთქმას იტალიას, რომ მისი შვილების სისხლს იზღავდა ოდესმე. ერთი დახვრეტილი ან ჩამოხრჩობილი პატრიოტის მაგიერად ასი და ორასი სჩნდებოდა, რომელნიც ტანჯულების კვალს და მიმართულებას ადგებოდენ. რაც დღე მოდიოდა, სულ უფრო და უფრო მატულობდა თავისუფლებისთვის თავგანწირულების რიცხვი.

უკანასკნელად, 1859 წ. იტალიის ერთი ნაწილი საფრანგეთის ჯარის შეწევნით გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლდა. შემდეგში ჯუზეპე გარიბალდიმ დაასრულა იტალიის განთავისუფლება (გარდა რომისა). დაკუწული სამთავროებისაგან, ხეა და ხეა ხალხის დამლუპველი მართებლობის მაგიერ გარიბალდიმ შეჰქმნა ერთი დიდი და ძლიერი სახელმწიფო. გარიბალდის სურდა ვიქტორ ემმანუელისთვის საუფლო ქალაქად რომიც მიეცა და განემგზავრა თავის ვოლონტერებით რომზედ. ეს ლაშქრობა ასპროდონტეთი გათავდა. იტალიის მეფემ, მადლობის მაგიერ, გარიბალდის ჯარი დაახვედრა და დააშინებინა თოფები. გარიბალდი დაჭრეს, დაატყვევეს და დასისხლიანებული სპეციის ციხეში ჩააგდეს ავაზაკსავით. იქამდის მივიდა საქმე, რომ რალმე სამართალშიც მისცეს ის. მაგრამ ამ ნაირი კაცის განჩინების შემადგენელად ვინ გაბედავდა გამხდარიყო? ლუი-ბლანი ამბობს ამ საგანზედ: „როდესაც შექსპირი თავის“ მეფეს ლირსა“ სწერდა, მზგავსი უმადურება მას არ წარმოდგენიათ“. აი, ამ ნაირად მიუზღო იტალიის მეფემ იმ კაცს, რომელმაც ის ოცდა ხუთი მილლიონი ხალხის თავს დასვა.

სამღვდელოება ყოველ დროს, როდესაც კი შეეხებოდა საქმე იტალიის განთავისუფლებას ხელს უშლიდა და აშინებდა ხალხს ჯოჯოხეთით. პაპმა, ბევრჯელ გადასცა არათუ ბაძინი და გარიბალდი, ვიქტორ ემმანუელი და ძეურიც კი.

მაგრამ სამართლიანობის საქმეს ალარ გაეწყო შეჩერება. საზოგადო თანაგრძნობა თავისუფლებისთვის მოურეველი იყო და ყველა იეზუტური საშუალებები სამღვდელოებისა უსუსური შეიქნენ. იტალია განთავისუფლდა! მტერი უკუნ იქცა, სირცხვილ ნაჭამი! ხალხი აღსდგა სიკვდილისგან!

რამდენიც იყო სამშობლოს ერთგულება მოვლებელი იტალიაში, ჩვენ შევხედავთ ერთის მაგალითით: გარიბალდის ჯარში რვა ძმა იყო ვოლონტერათ. ესენი ყველა დაიხოცა მტერთან ბრძოლაში. ერთ დღეს საომრათ გასვლის დროს, გარიბალდისთან ორი ყმაწვილი კაცი შემოვიდა და პატარა წიგნი მიართვეს მას. აი რა ეწერა შიდ:

„ეს ორი უკანასკნელი შვილიღა დამრჩენია. ბოდიოთ ესენიც მაგათ რვა ძმასავით ამსხვერპლოთ იტალიის თავისუფლებას. მე უკეთესი ბედნიერება, როგორც სამშობლოსთვის სიკვდილი, ვერა გამოვირჩევია რა ამ ორი ჩემი შვილებისთვისაც.“

ამ წიგნს სწერდა დედა!

ამ ნაირი ფასით განთავისუფლებული იტალია, დღეს შიშშია, რომ ვაი საფრანგეთში ბურბონი არ დასვან და მასთან ომი არ ამიტყდესო; ის ეძებს კავშირს გერმანიაში. აქ არც უმადურება სჩანს იტალიისა საფრანგეთზედ, არც მტერობა. ჭეშმარიტია, რომ ყველა თავის თავს უფთხილდება პირველად.

და რისთვის მოელის იტალიას საფრანგეთთან ომი, თუ რომ შამბორი გამეფდა, ჩვენ ეხლაე ვიტყვით. გრაფმა შამბორმა მრავალგზის ალიარა თავის მანიფესტებში და სხვა და სხვა ერთგულ მეგობრებთან მიწერ-მოწერაში, რომ ის, შამბორი, დაიცავს პაპის უფლებებს, რომ ის აღადგენს სამღვდელოების გავლენას. დღეს იტალიაში პაპას საერო უფლება ჩამორთმეული აქვს, სამღვდელოებას საეკლესიო მაჟულებზედ ალარ აქვს არავითარი სამართლე. ვიქტორ ემმანუელმა სრულიად შეცვალა სამღვდელოების მდგომარეობა იტალიაში.

რასაკვირველია, თუ კი შამბორი საფრანგეთის ტახტს ოდესმე ელირსა ეს თითქმის შეუძლებელია — ის იმწამს მოინდომებს თავის აღთქმის შესრულებას. იტალიაც თავის მხრით, რა წარმოსდგენია, რომ ჰანრი მეხუთეს შუა საუკუნის აზრებს დაეთანხმოს? მაშასადამე ამ ორ სახელმწოფოს შუა ატყდება ომი.

აი ამ საშინელ და სამწუხარო შემთხვევას მოელის იტალია, და ამისთვის განიზრახა, იქნება, ვიქტორ ემმანუელმა ავსტრიის და გერმანიის იმპერატორების ნახვა. „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“ ანბობს ჩვენი ხალხი.

ერთი უგბილიმ *)

„ტფილისის მოამბის“ ბიბლიოგრაფი დ. ერ—ეი (*Библіографъ „ТиФлисскаго Вѣстника, Д. Эр—въ*).

ბიჟი მოუვარე მოუვრისთვის
მტერზედაც უარესია.

„ტფილისის მოამბეს“ საიდგანლაც ერთი ახალი ბიბლიოგრაფი გამოუჩხრეკია. თქვენი მტერი, რაც იმის მსჯელობისაგან ქართულ ლიტერატურის ნაწარმოებებს მოსდიოდეს. ვინ არის ამისთანა განუკითხავი მწერალი, რომლის კალამსაც წრიპინ-წრიპინი გააქვს, ყურებს გვიჭექავს და გულს გვიწუხებს ასე შეუბრალებლათ. ნეტამც ან მკითხველმა საზოგადოებამ, ან ქართულმა მწერლობამ რა დაუშავა „ტფილისის-მოამბეს“, რომ ჯერ გონება გაუხსნელს ბავშვს აჩიჩქნინებს ჩვენი ლიტერატურის ნაწარმოებს. უნდა ვიფიქროთ, ან თვითონ „ტფილისის-მოამბის“ რედაქტორმა არა იცის რა ჩვენი მწერლობისა და ვინც რა უნდა დაწეროს, სიამოვნებით მიიღებს, ან იქნება თვითონ „ტფილისის-მოამბის“ რედაქტორის ყურები იყოს მიჩვეული ამნაირს რახა-რუხს და ყოველთვის ტაშს უკრავდეს, როცა იმისგან გამოჩხრეკილი ბიბლიოგრაფი დ. ერ—ეი ასე შეუბრალებლათ ჩიგნის რუსულ მკითხველების თვალწინ ქართულ თხზულებებსა. რაც უნდა ვიფიქროთ, ეს მაინც ცხადია, რომ ის ვერ ნიშნავს, თუ როგორ აპარებს იმისი ბიბლიოგრაფი უაზრო თარგმანებს იმისვე გაზეთში. მკითხველი საზოგადოება განცვიფრებულია, ამბობს, ან თვითონ რედაქცია არის დაბრმავებული, რომ ბეჭდავს ამისთანა უაზრობას, ან ალბათ თვითონ ქართული ნაწერი ყოფილა უაზრო და მთარგმნელმა რა ქნასო. თუ ასეა მაშ მოვიყვანოთ სიტყვა-სიტყვათ ის ნაწყვეტი ქართული თხზულებისა და იმისივე თარგმნა რუსულათ, რომ დავრწმუნდეთ, რამდენათ შესაბრალისია უფ. დ ერ—ეის მოღვაწეობა.

საკურველია, რომ ქართველს კაცს, როდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, არა აქვს ეს შორს მხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავისთავს ვბერდებიო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არარის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებელობა და კმა ერსა შორის თავის მკვიდრის შუამავლობით!“

„Удивительно, что у грузина, *какъ-бы онъ не возвысился и не сдѣлался-бы* могущественнымъ, нѣтъ той дальновидности, что когда онъ начнетъ старѣть, найдти себѣ преемника, приготовить его, дать направленіе, сдѣлать его человѣкомъ, *чтобъ когда самъ падетъ* (ничто не вѣчно на землѣ) *и тогда имѣлъ народъ голосъ и могущество*, благодаря этому преемнику“.

ამგვარი თარგმნისთვის თუთხმეტის წლის წინათ ჩვენს ლიმნაზიაში მეოთხე კლასის მოწაფეს ყურებს აუწევდენ; მაშინ ყურის აწევა ჯერ კიდევ არ იყო გადავარდნილი, შეველოდა კიდევ ამისთანა შეცთომებსა; მაგრამ ახლა რა ექნათ, რომ ალარც ყურის აწევაა მოდაში და ალარც კუთხეში დაყენება? რამ უნდა გვიხსნას უფ. დ. ერ—ეის თარგმანებისაგან. ნეტამც ვიცოდეთ, სად უსწავლია ამისთანა რუსული? იქნება ტაშკენტში ლაპარაკობდნენ ასე და იქაურ შკოლაში იყოს გამოზდილი? ეტყობა კი, რომ რუსულს თარგმნაში ვარჯიშობს; მაგრამ ქართული მწერლობა ასე რა დაბალი ღობე უნახავს, რომ უწყალოთ ასახჩრებს? ან ეს დალოცვილი რედაქტორი რას აკეთებს, რომ ღრამატიკულ შეცდომებს მაინც არ უსწორებს ახალ გამოჩეკილს ბიბლიოგრაფსა?

ყოველსავე იმის უგბილო კრიტიკულს მსჯელობას რომ გამოუდგეთ შორს წავა, მაგრამ გარათაშვილის წიგნებზე ამისთანა აზრის გამოცხადება, როგორც ბიბლიოგრაფმა წარმოსთქვა, ღმერთმა მესამე კლასის შაგირდსაც ნუ ათქმევინოს: „ესა უბრალო კაცის წიგნები არიანო, რომლებითაც სურს მას შეიტყოს თავის მეგობრის ამბებიო, არ ვიცით რედაქციას რათ მიაჩნია ისინი ძვირფასათაო“. ამისთანა ბავშური აზრი გვიმტკიცებს, რომ უფ. ბიბლიოგრაფს ალბათ სურს შეიტყოს ნამდვილი მნიშვნელობა ამ წიგნებისა. ჩვენც იმის შესაგონებლათ განვაგრძობთ საუბარს, თორემ უამისოთ აქაც შევსწყვეტდით ბიბლიოგრაფზე ლაპარაკს. სანამდის ზემოხსენებული ნ. გარათაშვილის წიგნები დაიბეჭდებოდა, ყოველს ჩვენთაგანს „მერანისა“, „სულო ბოროტოს“ და „ქართლის ბედის“ დამწერი ეგონა რა ლაც ახირებულ მოელენათ ჩვენს ცხოვრებაში, ნამეტნათ იმ დროში, რომელიც ჩვენი გონების მოძრაობისთვის მეტათ კარდახშული იყო. ჩვენ არაფერი არ ვიცოდით არც იმ მომენტისა, როცა ნ. გარათაშვილი მოქმედებდა და არც იმის მიმართულებისა რა ადგულებდა მაშინდელს საუკეთესო გვამების გულსა, ან რა სულის ტანჯვა ჰქონდათ იმათ? ვინ იყო თვითონ გარათაშვილი. რა გული ჰქონდა, რა ბუნება, რა ნიჭის თვისება, რა მიმართულება, ან რა საგანი ცხოვრებაში, ამისი ჩვენ ისე არა ვიცოდით რა, როგორც არ ვიცით, მაგალითად, ახლა მთვარეზე რა ხდება. გარათაშვილის სახე. იმისი სურათი ვერ გაგვეხორციელებინა ჩვენ ის რაღაც შაებედით ყმაწვილათ მიგვაჩნდა, რომელიც თავისი აზრებით დ. ფიქრებით არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული თავის თანა მედროვე ცხოვრებასთან. ჩვენ ის უფრო სხვა ტომის კაცი გვეგონა; ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს მდიდარი ყვავილი ჩვენი უწინდელი ცხოვრებისა ადრე დაუზრავს ბაირონის გამეხებულს სარკაზმს, ლერმანტოვის გულმოსაკვლელს ფიქრებს და განუშორებია თავის სამშობლოზედ; გვეგონა თუ ნ. გარათაშვილი იმათს გულის დუღილს, იმათს შავს ფიქრებს წაულია და გაუწყვეტია კავშირი ჩვენ ცხოვრებასთან. აი, ამისგამო ვფიქრობდით, იმას არა ჰყავს ჩვენ ცხოვრებაში არც წინაპარი და არც შთამომავლობა? სხვა ამაზე უფრო სწორი და ძვირფასი გამოკვლევანი ჩვენის სამშობლო ლიტერატურისთვის დაკარგული იყო, სანამდის ნ. გარათაშვილის წიგნები დაიბეჭდებოდა „ქრებულში“. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ წიგნების შემდეგ ჩვენ თითქოს გაგვიცოცხლდა თვალწინ ის დიდი ნიჭისა და აზრის მწერალი, რომლის ცხოვრება აქამდის დაკარგული გვქონდა. ნ. გარათაშვილის წიგნებმა დაგვიხატა თვითონ ნ. გარათაშვილი ჩვენებურ ახალგაზდათ, რომელიც ებრძვის გარემოებას, ეძებს გონების წარმატებას, უნდა თავისი სამშობლო ქვეყანა და იმისი ლიტერატურა წინ წაიყვანოს. ამისგულისთვის თვითონაც შრომობს და თავის ნათესავებსა და მეგობრებსაც ალვიძებს, ამხნევებს. ნ. გარათაშვილის წიგნების დაბეჭდვის შემდეგ ჩვენ დავინახეთ უფრო ნათლათ თვითონ იმის დროის ცხოვრება და დავრწმუნდით, რომ იმისი სიცოცხლე ამ ცხოვრების გაუმჯობესებისთვის ყოფილა შეწირული. ის ნამდვილის სწავლის დამკვიდრების გულისთვის სდევნის უწყალოთ და თავის მახვილ გონების მათრახს სცემს ყოველსავე, რაც არის ცრუ, მატყუარი, გარეგანა ბრწყინვალებით შემკული, მაგრამ შიგნით გულ დამპალი და უნაყოფო მეცნიერება.) ის ეძებს ჭეშმარიტს სწავლას და სდევნის ტიკსავით გაბერილს ფილოსოფოსებს. რათ ღირს ერთი იმისი მოსწრებული დაცინება ჩვენის პლატონ ფილოსოფოსისა! რამდენს სიმპარტიურს და ახალს მხარეებს იმის ნიჭისას გვიჩვენებს მარტო ეს ერთი ადგილი, რომელიც არის აწერილი მეორე წიგნში და დაბეჭდილია ამ წლის „ქრებულის“ ჭესამე ნომერში. აი, ამდენი ახალი და ძვირფასი მასალა შესძინა ნ. გარათაშვილის წიგნებმა ჩვენს ლიტერატურას. ამის შემდეგ გამოდგარა საბრალო „ტფილისის-მოამბის“ ბიბლიოგრაფი და იძახის: ნ. გარათაშვილის წიგნებში არ ვიცით, რა ნახა რედაქციამ ძვირფასიო. ეს არისო უბრალო კაცის წიგნები, რომლითაც ჭსურს შეიტყოს თავის მეგობრების ამბავიო“. ჰოი, გონიერებავ, რატომ იმას არ სწყალობ, ვისაც უფრო სჭირდები!

ბ. ბორისელი.

ОБЯВЛЕНІЕ

Желающіе нанять прислугу, служанку, няньку и т. п., а также квартиры со службою или безъ оной, могутъ обратиться въ Справочную контору, помѣщающуюся на Дворцовой улицѣ, въ Караванъ-сараѣ Генерала Арцруни.

Тифлисскій Гражданинъ Исакъ Мартиничъ Михитаровъ и К°.

ვისაც სურთ დაიჭირონ მოსამსახურე, ძიძა, მოახლე, აგრეთვე სახლები, შეუძლიანთ მიმართონ გასაგებ კონტორაში, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ბარვასლაში.

ტფილისის მოქალაქე ისაკ მარტინის ძე მიხითაროვი და კომ.

პატივი მაქვს განუცხადო საზოგადოებას, რომ ამ წლის პირველის ივლისიდგან, ბაქის დაწესების შემდეგ, მე უფრო გავადიდე თამბაქოს კეთება და ი